შპს სტადიონი
6010. ქ. ბათუმი მემედ აბაშიძის 16/18
ს/კ 445409415

Stadium LTD
16/18 Memed Abashidze St.
Batumi. 6010. Georgia

www.stadium.ge
info@stadium.ge

N 102-2018
17/04/2018

102-2018-2-201804171720

შპს „მშენტექზედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავა“-ს
ს/ნ 401944090; თბილისი, გოგოლის ქუჩა #1

შპს ოიკო-ჯგუფს“
ს/ნ 205001166; თბილისი, კონსტანტინე კაპანელის ქუჩა #14

შპს „ტრიჯიტი“-ს
ს/ნ 205287018; თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #2, ბინა 38

ქალაქ ბათუმში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ 05.27.05.027) 20000 მაყურებელზე გათვლილი UEFA-ს IV კატეგორიის საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2018 წლის 28 თებერვალს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (NAT180003386) თქვენს მიერ წარმოდგენილ 2018 წლის 16 აპრილის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 23^2-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს, პრეტენდენტს ან მიმწოდებელს უფლება აქვს, შემსყიდველი ორგანიზაციის/სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამავე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით გაასაჩივროს შემსყიდველ ორგანიზაციაში, თუმცა, ყოველი მსგავსი ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას აუცილებელი პირობაა ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირი წარმოადგენდეს დაინტერესებულ მხარეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი)“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის მიხედვით დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოცემული ნორმების თანახმად, იმისათვის, რომ განხორციელდეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტი, რომელსაც ექნება კანონიერი უფლება წარადგინოს ადმინისტრაციული საჩივარი:

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებული უნდა იყოს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მისი მოსაზრებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა დაარღვია მისი რომელიმე უფლება;
2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებული უნდა იყოს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომელთა კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „მშენტექზედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავა“-ს, შპს ოიკო-ჯგუფი“-ს და შპს „ტრიჯიტი“-ს მიერ გასაჩივრებულია შპს „სტადიონი“-ს სატენდერო კომისიის 2018 წლის 11 აპრილის სხდომის #3-3 ოქმი (ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი), რომლითაც შპს „სტადიონი“-ს სატენდერო კომისიის მიერ განხორციელდა „ქალაქ ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე (ს.კ. 05.27.05.027) 20000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების თაობაზე“ ჩატარებულ ელექტრონულ ტენდერში - NAT180003386 უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის - შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა და განხილვის შედეგად პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოვლენა.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში თქვენს მიერ აღნიშნულია, რომ მოცემულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა არ მიგიღიათ და შესაბამისად, არ წარმოადგენთ პრეტენდენტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სტადიონი“-ს სატენდერო კომისიის 2018 წლის 11 აპრილის სხდომის #3-3 გასაჩივრებული ოქმი (ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი) ვერანაირად ვერ დაარღვევდა თქვენს რომელიმე უფლებას, ვინაიდან, ის თქვენს მიმართ არ არის გამოცემული.

ამასთან, იკვეთება, რომ არ გაგაჩნიათ კანონიერი ინტერესი ელექტრონულ ტენდერში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიღებული გადაწყვეტილება არავითარ პირდაპირ და უშუალო გავლენას არ ახდენს თქვენს კანონიერ ინტერსებზე და წარმოადგენთ არაუფლებამოსილ პირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე არსებობს ადმინისტრაციული საჩივარის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 20 აპრილამდე პერიოდში, წერილობითი სახით, წარმოადგიონოთ მოსაზრება თუ რამდენად და რის საფუძველზე წარმოადგენენ შპს „მშენტექზედამხედველი - ნიკოლოზ ბოკუჩავა“, შპს ოიკო-ჯგუფი“ და შპს „ტრიჯიტი“ დაინტერესებულ მხარეს/უფლებამოსილ პირს გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან (შპს „სტადიონი“-ს სატენდერო კომისიის 2018 წლის 11 აპრილის სხდომის #3-3 ოქმი) მიმართებაში.

პატივისცემით,

სულხან ხალვაში

დირექტორი